



ბიომშენიერი ცხოვრებისათვის!  
ორგანული პროდუქტი. სოფლის მრავალფეროვნება.

№ 1(2), ივნისი, 2009 წელი



### ბიოგაზარი მსოფლიო აკონოვიკური კრიზისის ფონზე

მარიამ ჯორჯაძე  
„ელკანას“ დირექტორი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად დასაგულეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგაზარსაც შეეხო; თუმცა ბაზრის ზრდის ტენდენცია არ შეჩერებულა, უბრალოდ ტემპმა იკლო. ბიომეურნეობა ასოციაციის მონაცემების მიხედვით, 2010 წლის ბოლომდე ბიოგაზრის 18%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. სხვები ამ პერიოდისთვის უფრო მოკრძალებულ ზრდას წინასწარმეტყველებენ, თუმცა ყველა თანხმდება, რომ 2010 წლიდან ბიოგაზრის ზრდის ახალ, მეტად მკვეთრ ტენდენციას უნდა ველოდოთ.

1997-2007 წლებში ბიოგაზრის ზრდამ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებული შტატებში 450%-ს გადააჭარბა და დღეისათვის მსოფლიო სასურსათო ბაზრის 2,5%-ს შეადგენს (თანხობრივად - 55 მილიარდი აშშ დოლარი, რომლის 54% ევროპის ბაზარზე მოდის); თუმცა ზოგ ქვეყანაში, (შვეიცარია, ავსტრია, დანია და შვეიცარია) ბიოგაზარს 5-10 %

უჭირავს. ბიოგაზრისა და ბიოინდუსტრიის ზრდის ტენდენციები კარგად აისახა ბიოფაზის (ნიურნბერგი, გერმანია) წლებიდან დასრულებულ გამოფენაზე, რომელიც, მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, მის 20-წლიან ისტორიაში ყველაზე მაშტაბური იყო:

2,744 მონაწილე, 46,771 ვიზიტორი (მათ შორის 38% უცხოელი იყო ჩამოსული) 130 ქვეყნიდან, 1,200 ჟურნალისტი — ასეთია ზოგადი სტატისტიკა.

გამოფენაზე საქართველოს წელს მხოლოდ ასოციაცია „ელკანა“ წარმოადგენდა, და - მხოლოდ ღვინის სექტორში. ბიოფაზის გამოფენა საქართველო მოლაპარაკებებისა და კონტაქტების საუკეთესო საშუალებაა, ამიტომაც სასურველია, რომ მომავალ წელს ამ გამოფენაზე საქართველო უფრო ფართო მასშტაბით იყოს წარმოდგენილი; თუმცა ამისთვის ჯერ კიდევ ბევრი საშუალო ქვეყნის შიგნით — ბიოფაზზე მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილი სერტიფიცირებული ბიოპროდუქტის გატანაა შესაძლებელი.

### ქართულ ღვინოს ევროპულ გაზარზე გასვლის პრესკამპიზა აქვს

თამაზ დუნდუა  
„ელკანას“ პროგრამის მენეჯერი

ქართული ბიოღვინო პირველად წარდგა გერმანელი და, საერთოდ, ევროპელი მომხმარებლის წინაშე - „ბიოფაზის“ ღვინის დარბაზში გამოიფინა სერტიფიცირებული ქართული ღვინო. გაჩნდა ევროპულ ბაზარზე შესვლის რეალური პერსპექტივა, და თუ ჩვენი იმედები გამართლდება, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ ქართული ღვინოები შესაძლოა ფართო ასორტიმენტით გამოჩნდეს ევროპის ბაზარზე. ამ ეტაპზე გამოფენაზე მხოლოდ ორი ღვინო წარგადგინეთ: სერტიფიცირებული და კონვერსიაზე მდგომი. ძნელი სათქმელია, თუ რა შედეგი მოჰყვება იმ მოლაპარაკებებს, რომლებიც უკვე მიმდინარეობს რამდენიმე სერიოზულ უცხოურ ორგანიზაციასთან ღვინის შეს-

ვიდვის თაობაზე. ამ ორგანიზაციებს პირველადი მონაცემები აქვთ, ღვინოც გასინჯეს და მოეწონათ, საცდელი ნიმუშებიც გაგზავნილია და ველოდებით პასუხს. თუ მოეწონათ და შეისყიდეს, ეს იქნება დიდი მიღწევა და ჩვენი ორგანიზაციის მრავალწლიანი მუშაობის ლოგიკური შედეგი.

ქართულ ბიოღვინოს ევროპულ ბაზარზე გასვლის რეალური შანსები აქვს. ეკოლოგიური პროდუქციის ბაზარი საკმაოდ დინამიკური და სწრაფად მზარდია, რასაც „ბიოფაზის“ პოპულარობისა და მოცულობის ზრდაც ადასტურებს - შარშანდელთან შედარებით გამოფენის მოცულობა და დამთვალიერებელთა რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა. ევროპაში ღვინის ბაზარი ძალიან გაჯერებულია -

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## პირველად!!!

### ქართული ღვინო ევროპულ ბიოგაზარზე

ია აბრალიძე  
„ელკანას“ მარკეტინგის  
განყოფილების თანამშრომელი

2009 წლის 19-22 თებერვალს გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში გაიმართა ბიოგამოფენა „ბიოფაზი“, სადაც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ მიიღო მონაწილეობა და წარადგინა თავისი წვერი ფერმერების ბიოღვინოები: „საფერავი“ (მწარმოებელი გივი ნიკოლაშვილი), რომელიც პირველი სერტიფიცირებული ღვინოა საქართველოში, და „საფერავი განსაკუთრებული“ (მწარმოებელი ვაჟა ღარჩიაშვილი) — ამჟამად სერტიფიცირების პროცესშია.

„ელკანას“ წვერი ფერმერთა პროდუქციის სერტიფიცირებას ახორციელებს ადგილობრივი სერტიფიცირების ორგანო „CAUCASCERT“, რომელიც აკრედიტებულია გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს მიერ; რეგისტრაციის ნომერია DAP-ZE-4226.02.

წელს „ბიოფაზი“ საიუბილეო 20 წლისთავს აღნიშნავდა. გამოფენაზე 85 ქვეყნის ბიომწარმოებელმა გამოიფინა სხვადასხვა სახის პროდუქტები (საკვები პროდუქტები, სათესლე მასალა, კოსმეტიკა, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, ტანსაცმელი, საწარმოო ტექნიკა და სხვ.). ყველაზე მეტი მწარმოებელი იყო: გერმანიიდან - 941, იტალიიდან - 394, ესპანეთიდან - 205, საფრანგეთიდან - 181, ავსტრიიდან - 104. გამოფენაში მონაწილეობა ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებშიც მიიღეს: სომხეთს, სერტიფიცირების ორგანო „ეკოგლობთან“ ერთად, ხილის გადამამუშავებელი ორი კომპანია წარმოადგენდა; უკრაინის 4 კომპანიას სხვადასხვა მარცვლული, სოკო, ხილი, ბოსტნეული და ბიოპრეპარატები ჰქონდათ წარმოდგენილი; ხოლო რუსეთიდან ბიოპრეპარატებისა და ბიოსასუქის მწარმოებელი ერთი კომპანია.

გამოფენა 19 თებერვალს დილის 10 საათზე გაიხსნა. ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე გამომსვლელთა შორის იყო ქალაქ ნიურნბერგის მერი ულრიხ მალი (Dr. Ulrich Maly), მან ხაზი გაუსვა მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს და იმ ფაქტს, რომ ყველაფრის მიუხედავად წლებიდან წელიწადი გამოფენა ყველაზე მაშტაბური და მრავალფეროვანია დანარჩენ წლებთან შედარებით. მან ამავე ცერემონიაზე ნიურნ-



გაგრძელება მე-2 გვერდზე



# კლასიკური განათლება აქორცილურ სოფლის მეურნეობის სფეროში



**თიო ურუაძე**  
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის განყოფილების გამგე, პროფესორი

ევროპაში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის სფეროში კლასიკურ განათლებას დიდი როლი ენიჭება - არსებობს ინსტიტუტები, ფაკულტეტები, კვლევითი ცენტრები და სხვ. 2006 წელს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტშიც გაიხსნა ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის განყოფილება, რომლის შექმნის იდეა ეკუთვნის გერმანელ პროფესორს ჰ. ვოგტმანს. იგი ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობის დარგში ერთ-ერთი პირველი პროფესორია გერმანიაში, წლების მანძილზე იყო გერმანიის ბუნების დაცვის ფედერალური სააგენტოს პრეზიდენტი. პროფ. ჰ. ვოგტმანი ძალიან მეგობრობდა ჩვენს ქვეყანასთან, მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან, მის მაშინდელ რექტორთან პროფ. თენგიზ ურუაძესთან. სწორედ პროფ. ვოგტმანის ინიციატივითა და ქართველი კოლეგების აქტიურობით გადაწყვიდა, რომ შექმნილიყო სპეციალობა -

თული ჩვენი გერმანელი პარტნიორები კასელის უნივერსიტეტიდან, კერძოდ, პროფ. ჰ. ვოგტმანი, პროფ. პლუგერი და პროფ. ფრაგუტინი, რის შემდგომაც აღნიშნული კურიკულუმი ჩაჯდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. გერმანული მხარის დაფინანსებით, ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგებმა, მაგისტრებმა და დოქტორანტებმა გაიარეს თრეინინგი კასელის უნივერსიტეტში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის, კომპოსტირებისა და მეცხოველეობის მიმართულებებით. გერმანელი კოლეგები განყოფილებას უზრუნველყოფენ დარგში არსებული სპეციალური ლიტერატურით და პერიოდული გამოცემებით.

გაწეული საქმიანობისა და ღვაწლისათვის გერმანელი პარტნიორები ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორებად არიან არჩეულნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელმა მეცენატმა, ბატონმა ფერიმ, ჩვენს განყოფილებას საჩუქრად გადასცა თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობა, სადაც ჩვენი განყოფილების თანამშრომლები და სტუდენტები ჩაატარებენ კვლევით სამუშაოებს. აღნიშნული ლაბორატორიული მოწყობილობები ეხლახანს ჩამოვიდა გერმანიიდან და ინსტალაციის პროცესშია.

2006 წელს ერთვანი ვიზიტით ვიმყოფებოდი გერმანიაში, სადაც გავიარე საერთაშორისო სასწავლო კურსი - „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და სერტიფიცირება“. ამ პერიოდს დაემთხვა ბიოპროდუქციის ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა - „ბიოფაზი-2006“, სადაც შევხვდი „ელკანას“ ხელმძღვანელებს - მარიამ ჯორჯაძეს და თამაზ ღუნდუას. მათთან საუბრისას წარმოიშვა იდეა, რომ გავგვეკეთებინა ერთობლივი მემორანდუმი ურთიერთ-თანამშრომლობაზე, რომლის საფუძველზეც ჩვენი სტუდენტები პრაქტიკას გაივლიდნენ „ელკანას“ წევრების ბიომეურნეობებში, განხორციელდებოდა ერთობლივი კვლევები და სხვ (მოცემული პერიოდისათვის გერმანელი კოლეგების დახმარებით, უკვე გადაწყვეტილი იყო სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის განყოფილების შექმნა, ხოლო განყოფილებას ჯერ არ გააჩნდა ბიომეურნეობები, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიდნენ). ძალზე სიმბოლურია, რომ ასეთი „ბიოიდეა“ სწორედ ბიოფაზის გამოფენაზე ჩაიხსნა. მემორანდუმი გაფორმდა და გაამართლა - ჩვენი სტუდენტები პრაქტიკას გადიან „ელკანაში“, ხოლო უნივერსიტეტის პედაგოგებმა „ელკანას“ ბაზაზე უკვე

გაიარეს სასწავლო კურსი თემაზე - „ბიომეურნეობის ზოგადი საფუძვლები“. ეს ტრენინგი მეც მაქვს გავლილი და ძალიან კმაყოფილი ვარ - მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებული მასალა და სწავლების ეფექტური მეთოდები - აი, რით გამოირჩეოდა ეს კურსი.

ჩვენი განყოფილების განვითარებაში, გერმანელ კოლეგებთან აქტიურ თანამშრომლობასა და „ელკანასთან“ შემდგომი თანამშრომლობის წარმატებაში, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. გელა ჯავახიშვილს, რომლის მეშვეობითაც, დღითიდღე ღრმავდება ეს ურთიერთობები. სწორედ მას ეკუთვნის იდეა ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობაში აგრარულ უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც ამიერკავკასიისათვის პირველი პრეცედენტია.

2009 წლის თებერვალში ისევ „ელკანასთან“ ერთად ვესწრებოდი „ბიოფაზი-2009“-ს და ძალზე მოხარული ვარ, რომ ბიოფაზის წარმატების მოწმე გახვდა. საერთაშორისო ასპარეზზე პირველად გავიდა ბიოფაზი და ყველა - მარიამ ჯორჯაძე, თამაზ ღუნდუა, ლელა ხარტიშვილი, ირაკლი ჯავახიშვილი, გიორგი ბარისაშვილი, ია ებრაელიძე და მეც, დამაბული ველოდით, თუ როგორ მიიღებდა საერთაშორისო საზოგადოება ქართული ღვინოს. წარმატება უდავოდ დიდი იყო. ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო, როცა მოდიოდა დამთავლებული და გვეუბნებოდა, რომ ჩვენ სტენდთან იყო მისი ნაცნობი და მან უთხრა, რომ აქ კარგი ღვინო აქვთ და ამიტომ მოვიდა დასაგემოვნებლად. იყო შემთხვევები, როცა ღვინის სადგურსტაციოდ დამთავლებული რიგში იდგნენ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ მიაწვდი შენს პროდუქციას. სტენდზე იყო არაჩვეულებრივი ფოტოები, ძალზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქვეყრი და შოთის პურები; ბოლოს, ამ ყველაფერს ძალზედ უხდებოდა ქართულ ჩოხაში გამოწყობილი გიორგი... დარწმუნებული ვარ ეს შედეგები კონკრეტულ კონტრაქტებში იქნება, ამის წინაპირობები ნამდვილად იყო.

წარმატება თავისით არ მოდის... ბიოფაზზე მიღწეული წარმატება „ელკანას“ ხელმძღვანელობის, ყველა თანამშრომლისა და წევრი ფერმერის თავდადებაზეა შრომის შედეგი. საერთოდ, „ელკანას“ საქართველოში პიონერია

ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის სფეროში. მან ისეთ პერიოდში დაიწყო ამ საკითხებზე მუშაობა, როცა ეკოლოგიური მეურნეობის სფეროში სერიოზულად არავინ აღიქვამდა... დღეს შედარებით ადვილია უკვე გაკვალული გზით სიარული და ალბათ „ელკანას“ მიმდევრებიც გამოუჩნდებიან, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ პირველი „ელკანა“ იყო და მისი დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოში როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო დონეზე იცნობენ და მხარს უჭერენ ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობას.

რამდენიმე სიტყვით შევხვები ჩვენი განყოფილებისა და „ელკანას“ შემდგომი თანამშრომლობის გეგმებს. ჩემი აზრით, პიროვნული ურთიერთსიმპატიო ხშირად ნაყოფიერ საქმიან თანამშრომლობას უწყობს ხელს - ასეთი შეხმატებულობები და მეგობრული კოლექტივიც, როგორც „ელკანას“, იშვიათია და თუ ამას ორგანიზაციის თანამშრომელთა პროფესიონალიზმსა და დიდ გამოცდილებას დავუმატებთ, გასაგები გახდება, თუ რატომ ვგეგმავთ „ელკანასთან“ ხანგრძლივ თანამშრომლობას.

რაც შეეხება კონკრეტულად, „ელკანასთან“ ერთად ვფიქრობთ ერთობლივი პროექტების განხორციელებას და ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩვენი განყოფილებას აქვს საცდელი ფართობი უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე და ვაპირებთ მის მოწყობას „ელკანასთან“ თანამშრომლობით. „ელკანას“ მრჩეველ ნუკრი შემარნიშვილთან ერთად უკვე ნაკვეთიც დავგვემეთ და ვაპირებთ მცირე ბიომეურნეობის მოწყობას. აქვე მინდა დავმინო, რომ ნუკრისაც ჩვენი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ამ ფართობზე იმუშავებენ სტუდენტები და თავისი თვალთ ნახავენ თუ როგორ ხდება კონვენციური მეურნეობის ბიომეურნეობად გადაქცევა.

და ბოლოს, მინდა ავღნიშნო, რომ ამ ბოლო პერიოდში ტერმინი „ბიო“ აქტიუალური გახდა, საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენა „ბიოს“ უკავშირებს რაღაც ახალს, ხალასსა და ჯანსაღს, რამაც შესაბამისი მოთხოვნაც წარმოშვა. პოპულარობით სარგებლობს ჩვენი განყოფილებაც - თანამედროვე აღჭურვილობა, კომპიუტერები, ინტერნეტი, ახალი და საინტერესო საქმე, სტუდენტებისთვის განსაკუთრებულ გარემოს ქმნის, იზიდავს მათ და ინტერესს აღუძრავს.



ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და ბუნების დაცვა. საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში ეს ახალი სპეციალობაა. აგრონომიული ფაკულტეტი ერთ-ერთი წამყვანი ფაკულტეტი ჩვენს უნივერსიტეტში. წლების მანძილზე სტუდენტები იძენდნენ შემდეგ სპეციალობებს: აგროქიმიანიადაგმცოდნეობა, სელექცია-მეთესლეობა, მიწათმოქმედება, მცენარეთა დაცვა, საკვებწარმოება. შემდგომ წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა სიხალის შემოტანის საჭიროება დაგვანახა - უნივერსიტეტმა ფაქი უნდა აუწყოს ბაზრის მოთხოვნას: 1991 წელს აგრონომიულ ფაკულტეტს დაემატა სამკურნალო მცენარეობის, 1993 წელს აგროეკოლოგიის, ხოლო 2006 წელს სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის სპეციალობა.

შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა, შესაბამისი კურიკულუმით, რომელიც აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩარ-



## სამკურნალო მსენარეობის ტრადიციული გამოყენება ისტორიულ ბაიო-კლასიკურ სფეროში

**მაია ახალკასი, მარიამ მოსულიშვილი, მარიამ ქიქარიძე, ინესა მაისაია**  
ბიოინდუსტრიის კონსულტანტი (ბელგია)

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა „ორქისმა“, 2005-2006 წლებში, ჩაატარა კვლევა -

„გადაშენების საფრთხეში მყოფი სამკურნალო მცენარეების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება სამცხე-ჯავახეთში“, რომელიც წარმოადგენდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ პროექტის - „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, დაცვა და მდგრადი გამოყენება“ შემადგენელ ნაწილს. ამ გამოკვლევის ერთ-ერთი კომპონენტი იყო დაგვედინა, ამჟამად სამკურნალო მცენარეთა რომელ

სახეობებს იყენებს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ხალხურ მედიცინაში და, რამდენადაა შემორჩენილი ტრადიციული ცოდნა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ფლობდა ადგილობრივი მოსახლეობა და გადასცემდა შთამომავლობას.

ამ რეგიონში ტრადიციულ ცოდნას ხალხური მედიცინის დარგში დიდი ხნის ისტორია აქვს. ისტორიული ტაო-კლარჯეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარე იყო, სადაც ჩაიხსნა ქართული კულტურა და სახელმწიფოებრიობა. იგი დღეს ორდაა გაყოფილი. მისი ჩრდილოეთი ნაწილი, საქართველოს სამხრეთით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია მოქცეული. სამხრეთი ნაწილი კი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა და მისი ძირითადი ნაწილი ართვინის ვილაიეთშია გაერთიანებული. ჩვენ

გაგრძელება მე-5 გვერდზე



დასაწყისი 4 გვერდზე

მოვიარეთ ორივე მხარე და გამოვიკითხეთ ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის ტერიტორიაზე.

სამცხეში ამჟამად, ადგილობრივი მესხი მოსახლეობის გარდა, კომპაქტურად ცხოვრობს საქართველოს სხვა კუთხიდან ჩამოსული მოსახლეობა, მაგ. იმერლები და აჭარლები, რომელთაც თავისი ტრადიციები აქვთ. აგრეთვე, სომეხი ეროვნების მოსახლეობა ქმნის კომპაქტურ დასახლებებს და თავისი ეთნიკური ტრადიციები მოჰყოფს. ამიტომ ჩვენ გამოვიკითხეთ ყურადღებას ვაქცევდით, თუ რა განსხვავება იქნებოდა ადგილობრივი მესხი და დანარჩენი მოსახლეობის ცოდნას შორის, რათა დაგვედგინა მკურნალობის ის უძველესი მეთოდები, რომლებიც მცენარეთა ადგილობრივი სახეობების გამოყენებასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ჩვენ შეგვექმნა საერთო შთაბეჭდილება, რომ სამცხეს მოსახლეობა ფლობს წინაპრებისაგან გადმოცემით მიღებულ ცოდნას სამკურნალო მცენარეთა თვისებების შესახებ და აქტიურად იყენებს მას. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ბევრ ოჯახში ინახავენ პატარა კონებად შეკრულ ხმელ სამკურნალო მცენარეებს. თითქმის ყველა ოჯახში ვნახეთ ერთი და იგივე სამკურნალო მცენარეები, რომლებსაც ჩვეულებრივ, ზამთრისთვის ინახავენ. ესენია: კრაზანა - *Hypericum perforatum*, უკვდავა - *Helichrysum graveolens*, თავშავა - *Origanum vulgare*, ფარსმანდუკი - *Achillea millefolium*, ვარდკაჭკაჭა - *Cichorium intybus*, ქრისტესისხლა - *Chelidonium majus* და მრავალმარღვა - *Plantago major*. ეს ის სახეობებია, რომელთაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყენებენ ხალხურ მედიცინაში და რომლებიც მწვანე აფთიაქებშიც ყველგან იყიდება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ინფორმაციამ, რომელიც მოვისმინეთ მესხებით დასახლებულ სოფლებში - ვალე (სონა ნადირაძე, ნათელა ჩიტაშვილი, ნინო გოზალიშვილი), მუსხის სათიბებზე მდებარე ს. ზანზობი (ლიდა ოქრომელიძე, ნინა ჟუჟუნაძე) და ს. ღრელი (ფიროზ იაძე, თამარ ოქრომელიძე). კერძოდ, ისინი საშვილოსნოს ფიბროზული სიმსივნების სამკურნალოდ იყენებენ *Gentiana septemfida*-ს, რომელსაც ასისტავას უწოდებენ. საინტერესოა, რომ ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის (1991) მიხედვით *Gentiana septemfida*-ს ქართული სახელია ნადველა, ხოლო ასისტავა ეწოდება *Centaurium*-ის გვარის წარმომადგენლებს, რომლებიც იგივე ნადველასებრთა ოჯახს მიეკუთვნებიან. ასევე საინტერესო იყო კავკასიური ნადველას (*Gentianella caucasea*) გა-

მოყენება ბუასილის სამკურნალოდ. ოროვანდს (*Arctium lappa*), რომლის ფესვებს სექტემბერში აგროვებს, იყენებენ კუჭის პრობლემებთან დაკავშირებით. კაცისყურას (*Sedum caucasicum*) ფოთოლს ნედლად ხმარობენ დაჩირქებისა და ფურუნკულების სამკურნალოდ. ჩაის სახით იყენებენ ეთერზეთებით მდიდარ არომატულ ზენტენს - *Hyssopus angustifolius* და დეკას - *Rhododendron caucasicum*, რომელსაც ლიშხს უწოდებენ. გაზაფხულზე წითელძირას, იგივე ჯიჯლაყას - *Amaranthus* sp. (ინვაზიური მცენარეა, რომელიც ამერიკის კონტინენტიდან შემოიტანეს საქართველოში), სამკურნალო ტუხტს - *Althaea officinalis*, ალცეას - *Alcea rugosa* და ჭინჭარს აგროვებენ, როგორც მხალეულს, საკვებად.

რაც შეეხება სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მოსახლეობას, სოფ. ნიალაში, ასპინძის რ-ნი, შევხვდით თუშეთიდან გადმოსული მწვემის ოჯახის წევრებს, ნინო და მამყვალა წამალმეებს, რომლებსაც ზემოთ ნახსენები ტრადიციული მცენარეების გარდა - უკვდავა, კრაზანა, მრავალმარღვა, ვარდკაჭკაჭა და სხვ., შეგროვებული ჰქონდათ ალუბური მათიტელა (*Polygonum alpinum*), რომელსაც იყენებდნენ ნაყენის სახით მარღვების გამოსადევნად. ეს სოფელი მდებარეობს თურქეთის საზღვართან, მაღალმთიან ზონაში. ზამთარში სოფელი თითქმის მთლიანად არის იზოლირებული ცენტრისაგან. ამიტომაც, რომ აქაური მცხოვრებნი დიდი რაოდენობით აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს ზამთარში ჩაის დასაყენებლად.

საერთოდ, ამ რეგიონში არსებობს ჰერბალურ მედიცინასთან დაკავშირებული ადამიანის ორი ტიპი: ერთს აქვს წინაპრებისაგან მიღებული ტრადიციული ცოდნა და იცის, როგორ მოამზადოს და როდის გამოიყენოს სამკურნალო საშუალება. მეორე ტიპია განათლებული პირი, რომელსაც აქვს საფუძვლიანი ცოდნა ჰერბალურ მედიცინაში, აქვს წიგნები სამკურნალო მცენარეთა შესახებ და სოფელში ისინი ზოგჯერ ბალახებით მკურნალობასაც ეწევიან. სხვადასხვა სოფლებში ჩვენ ორივე ტიპის ადამიანებთან გვექონდა კონტაქტი. თითქმის ყველა სოფელში არის პიროვნება, რომელიც პაციენტებს ბალახებით კურნავს. ასეთი "სახალხო ექიმები" დიდი პატივისცემითა და დაფასებით სარგებლობენ. აღსანიშნავია, რომ სახალხო ექიმები ყოველთვის როდი არიან გახსნილები და არ ამხელენ წამლების დამზადების ყველა საიდუმლოს. თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც იძლევა ინფორმაციას მცენარეებისა და იმ დაავადებების შესახებ, რომელთა სამკურნალოდაც მოცემულ მცენარეებს იყენებენ. ასეთი პიროვნებაა, მაგ., ისააკ პაპიძე (სოფ. საყუნეთი, ახალციხის რ-ნი), რომელიც არის პროფესიონალი ჰომეოპათი. ჩანაწერების წიგნში შეტანილი აქვს სხვადასხვა მცენარეებიდან წამლების მომზადების მრავალი რეცეპტი. მათი უმრავლესობა ამოღებულია სხვადასხვა სამედიცინო წიგნებიდან, ზოგიერთი კი მისი მოგონილია.

სახალხო მკურნალების გარდა რეგიონში შეგვხვდნენ მეცნიერებიც, მაგ. ლიანა ბაგინაშვილი (სოფ. წნისი, ახალციხის რ-ნი), სპეციალობით ბოტანიკოსია, მუშაობდა თბილისში, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში. აქვს საფუძვლიანი ცოდნა მცენარეთა და მათი სამკურნალო თვისებების სფეროში. ის აგროვებს თითქმის ყველა ზემოხსენებულ სამკურნალო მცენარეს. აგრეთვე ამზადებს



თურქეთის ექსპედიციის მონაწილენი - მარინე მოსულიშვილი (მარცხნივ), სანდრო ოქროპირიძე (მარჯვნივ), მაია ახალკაცი (მარჯვნიდან მეორე) სოფ. დემურკენტის იაილას მწვემებთან ერთად;

ნაყენს აბზინდისაგან (*rtemisias absinthium*), რომლის გამოყენება აუზღობესებს იმუნურ სისტემას და ეფექტურია კიბოს წინააღმდეგ. მისი ინფორმაციით, სოფ. წნისის მიდამოებში ყოფილი გველის სუროს (*Vinca herbacea*) პოპულაცია, რომელიც ერთი თბილისური ფარმაცევტული ფირმის მიერ შეგროვების შედეგად მთლიანად განადგურებულია. ეს ფაქტობრივად უკონტროლო შეგროვების შედეგად მცენარის პოპულაციის სრული გაქრობის თვალსაჩინო მაგალითია.

აგრეთვე, არიან პირები, რომლებსაც ფუნდამენტური ცოდნა აქვთ შეძენილი სამედიცინო წიგნებიდან და შუიძლიათ მცენარეთა იდენტიფიკაცია ნახატებისა და ილუსტრაციების გამოყენებით. მათ მეტად საინტერესო ინფორმაცია აქვთ მრავალი მცენარის სახეობის გამოყენების შესახებ და მათი ცნობაც შეუძლიათ ბუნებაში. მაგ., ანაია ბაღდასარიანი (ქ. ახალციხე), აგროვებს ღვისა და ასკილის ნაყოფებს თირკმლების გასაწმენდად. სელის ზეთის და კრაზანას ყვავილების ტინქტურას იყენებს ანტი-სეპტიკურ საშუალებად, ქრისტესისხლასა და ვარდკაჭკაჭას - კუჭის პრობლემებთან დაკავშირებით, გლერძს (*stragalus microcephalus*), ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ. სეროპ არუნუმიანი (ქ. ახალციხე), დაინტერესებულია სამკურნალო მცენარეებით. ხშირად დაიარება ახალციხის შემოგარენში, იცნობს ზოგიერთ სამკურნალო მცენარეს. მან იცის ორქიდეების სამკურნალო თვისებები და მისი თქმით, ეს თვისებები დამოკიდებულია ჰაბიტატების თავისებურებებზე და ძალზე ცვალებადია.

აღსანიშნავია ის პირები, რომლებსაც სამკურნალო მცენარეების ბუნებაში შეგროვებასთან ერთად, მათი ზოგიერთი წარმომადგენელი მოჰყავთ საკარმიდამო ნაკვეთზე. მაგ., მედეა და გურამ მამულაშვილებს (სოფ. აბას-თუმანი, ადიგენის რ-ნი), საკარმიდამო ნაკვეთზე უდგათ სამკურნალო ტუხტი (*Althaea officinalis*), რომელსაც იყენებენ ანთებითი პროცესის დროს და ამოსარეც საშუალებად. აგრეთვე, დიდჯამა ფურისულას (*Primula macracalyx*) რამდენიმე ძირი აქვთ ბაღში და იყენებენ ბრონქიტის სამკურნალოდ; ჭახრაკაულს - *Cerinth minor*-ს სასაქმებელ საშუალებად ხმარობენ. ზოგიერთ მოსახლეს სამკურნალო მცენარეები მოჰყავს კომერციული მიზნით, მაგ., ნიკოლოზ კუბლაშვილს (სოფ. იმერთუბანი, ადიგენის რ-ნი), საკარმიდამო ნაკვეთში მოჰყავს ჩვეულებრივი კატაბალახა (*Valeriana officinalis*), ერთ-ერთი ქუთაისელი აფთიაქარის დაკვეთით. იღებს მაღალხარისხიან მოსავალს და აქვს კარგი ბიზნესი. მეორე შემთხვევა ვნახეთ სოფ. ვახანში, სადაც ავთანდილ ნატრიაშვილს მოჰყავს კრაზანა. საინტერესოა, რომ ორივე ფერმერი იყენებს კომერციულ სათვისელ მასალას, რომელიც მათ მიღებული აქვთ გერმანი-

იდან. ეს არის საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა, რათა ფერმერმა აწარმოოს ბიოაქტიური ნივთიერების მაღალი შემცველობის მქონე მცენარეები. აგრონომიული გამოცდებით უკვე ნაჩვენებია, რომ კულტივაციის შედეგად სახეობებში ხდება თერაპევტული თვისებების შეცვლა. ამიტომ ველური სახეობებიდან საუკეთესო თერაპევტული თვისებების კულტივაციის მისაღებად საჭიროა მიზანმიმართული და საფეხურებრივი სასელექციო პროცესის განხორციელება. ასეთი სელექციური სამუშაოები მოითხოვს გამოცდილებასა და ცოდნას, რომელიც ადგილობრივ ფერმერებს შეიძლება არ ჰქონდეთ. ამდენად, მიზანშეწონილია უკვე აპრობირებული კომერციული სათვისელ მასალის გამოყენება სამკურნალო მცენარეების პლანტაციების გასაშენებლად.

სამკურნალო მცენარეების შეგროვებას და გამოყენებას თუ შევფასებთ გენდერული თანაფარდობის კუთხით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც სამკურნალო მცენარეების შეგროვება და გამოყენება ძირითადად ქალების საქმეა, მესხეთსა და ჯავახეთის რეგიონში სხვა სურათს ვნახავთ. თუმცა მესხეთში ქალებს აქვთ საფუძვლიანი ცოდნა სამკურნალო მცენარეთა გამოყენებასა და წამლების მომზადებაში, ამ მცენარეთა შეგროვება მამაკაცებს ევალება. ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ სამკურნალო მცენარეთა უმეტესობა გავრცელებულია მთებში, ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეებსა და მწველი მისაღებ ადგილებში. სოფლებში მამაკაცები არიან მწვემები და გლეხები, რომლებსაც მთაში აქვთ სათიბ-საძოვრები და კარგად იცნობენ მცენარეებს. მათ შეუძლიათ ბუნებაში მრავალი სამკურნალო მცენარის სახეობის ცნობა და მათი შეგროვება. მაგრამ ოჯახში წამლების მომზადება და მკურნალობა ქალების საქმეა. ქალები და ბავშვები სამკურნალო მცენარეებს მაშინ აგროვებენ, როდესაც ისინი ზაფხულში დასასვენებლად ადიან სოფლის კუთვნილ მწვემების საზაფხულო ბინებში, რომლებიც ალპურ ზონაში მდებარეობს და ადგილობრივი მოსახლეობა მას თურქულიდან შემოსულ სიტყვას "იაილას" უწოდებს.

ამდენად, შესაძლოა გავაკეთოთ დასკვნა, რომ მესხეთის მოსახლეობა იცნობს სამკურნალო მცენარეთა გამოყენების ადგილობრივ ტრადიციულ გამოცდილებას და, რაც მთავარია, აქტიურად იყენებს ამ ცოდნას მცენარეთა შეგროვებასა და წამლების მომზადებაში. სულ სხვა სიტუაცია ვნახეთ თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, რომელიც წარსულში მესხეთ-ტაო-კლარჯეთის ტერიტორია იყო. ადგილობრივი მოსახლეობა იქ ქართველები არიან, რომლებიც დღემდე ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენ მათ შევხვდით ართვინის პროვინციის ზოგიერთ სოფელში. კომპაქტურად დასახლებული ქარ-



სურ.1. ნინა ჟუჟუნაძე შეგროვებული მცენარეებით - უკვდავა, ფარსმანდუკი, თავშავა და ასისტავა, სოფ. ზანზობი;



დედა - *Rhododendron caucasicum*



კაკასიური ნაღველა - *Gentiana caucasea*



ახსიხვა - *Gentiana septemfida*

თული მოსახლეობა შეგვხვდა შავშეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, იმერხევის სოფლებში. აქ შავშეთი ცხოვრობენ. ისტორიული მესხების კომპაქტური დასახლება არ შეგვხვდებოდა. საერთო შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ შეგვექმნა, ისაა, რომ იქ არ არსებობს მოთხოვნა ტრადიციული მედიცინის საშუალებების გამოყენებაზე, იქ მხოლოდ სააფთიაქო სამედიცინო საშუალებებს ხმარობენ. უმეტესობის თქმით, ისინი ბუნებაში მცენარეებს არ აგროვებენ, სარგებლობენ მხოლოდ აფთიაქში შექმნილი პრეპარატებით. აფთიაქისთვის შეგროვებული ცაცხვის ყვავილები ვნახეთ ჰატილას ეროვნულ პარკში, სადაც ამას იქ მომუშავე

მეტყველები აკეთებენ და აბარებენ აფთიაქში. მხოლოდ იაილებში ზოგიერთი მწვემისგან გავიგეთ, რომ ისინი დღესაც იყენებენ სამკურნალო მცენარეებს (სურ.5). მაგ., სოფ. დემირკენტის იაილაში მწვემსმა გვიჩვენა გველის ნიორი (*Allium rotundum*), რომელსაც კუჭის ინფექციების მკურნალობისათვის იყენებს.

მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული ცოდნა წარსულიდან მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი. ისინი გვიყვებოდნენ იმის შესახებ, რაც წინაპრებისაგან აქვთ გაგონილი. თითქმის ყველა გამოკითხულმა რესპონდენტმა მოგვიყვა ერთი და იმავე სამკურნალო საშუალების შესახებ. ეს არის თაფლში

შერეული ჭინჭრის მტვერი, რომლის ორალური მიღება შველის კანის კიბოს (მამუკა მოლაშვილი, ალისულხან ჯაფარიძე, ს. დიობანი, იმერხევი). ეს ინფორმაცია, ჩვენ არ მოგვისმენია საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ჭინჭრის ანტიკანცეროგენული თვისება ცნობილია თურქეთის სხვა პროვინციებიდან (KAYA, 2007). ამის გარდა, გვითხრეს, რომ ტირიფის ფოთლები გამოყენებულია დიაბეტის სამკურნალოდ (მამუკა მოლაშვილი). იმერხევის ს. რობათში, ჩვენ ვიყავით ქართველების ოჯახში, სადაც გემასპინძლობდა ორი ქალბატონი - გუნემ და ფატმა აქალ-თუნები (სურ.6), ორივე კარგად ლაპარაკობს ქართულად. წარსულში ისინი

იყენებდნენ ზოგიერთ სამკურნალო მცენარეს, მაგრამ ისინი ამ მცენარეებს რეგულარულად არ აგროვებდნენ. მათი თქმით, მოცხარი (*Ribes spp.*), რომელსაც ისინი "მერცხალს" უწოდებენ, გამოიყენებენ სისხლში შაქრის რაოდენობის შესამცირებლად; მრავალძარღვა გამოყენებული იყო სახსრებიდან მარილების გამოსადევნად და ზედმეტი წონის დასაკლება. იმერხევის, ს. დიობანში ქართულად ვესაუბრეთ ქემელ კაკავანს. მან გვითხრა, რომ ხალხი აღარ იყენებს სამკურნალო მცენარეებს. ისინი აკეთებენ ჩურჩხელას, რომელსაც "ქუმას" უწოდებენ, მაგრამ აქ ვაზს არ აშენებენ და თათარას თუთის წვენიდან ამზადებენ. შემოთქმულიდან ცხადია, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას ბევრად ნაკლები ინფორმაცია მოეპოვება სამკურნალო მცენარეების შესახებ, ვიდრე მესხეთის მოსახლეობას.

# სანაშენე საქმიანობა მეფუტკრეობაში



## ვახტანგ ლომოხარაძე

„ელკანას“ მრჩეველი მეფუტკრეობის დარგში

სანაშენე საქმიანობა მეფუტკრეობაში ეკონომიკურად ყველაზე უფრო ეფექტური და მცირედანახარჯიანი გზაა მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების გაზრდისა. ისეთი მარტივი მეთოდიც კი, როგორც არის საფუტკრეო ფუტკრის ოჯახების მასობრივი გადარჩევა, ერთ-ორ წელიწადში იძლევა პროდუქციის 20-40%-იან მატებას. ყველა ფუტკრის ოჯახი რომ ერთნაირად პროდუქტიული არ არის, ამას ერთი საუკუნის წინაც კარგად ხედავდა ცნობილი ქართველი მეფუტკრე აპოლონ წულაძე, რომლის წიგნიდან კიდევ ერთ ციტატას მოვიყვან:

„გვეჯებში, როფებში, ბუკებსა და სხვაგვარ უჩარხო სკებში ფუტკრის შეძენის დროს, სასურველია შემქნება, ყურადღება მიაქციოს ფიჭის ნაშენობას; ასეთ სკებში ნაშენობა სამგვარია და თითოეულ მათგანს ხალხი თავისებურ სახელს ეძახის. ხალხის რწმენით ნაშენ თავისებურებას აძლევენ ოჯახის ფუტკრები. ამიტომ ამბობენ: ამა თუ იმ ოჯახის ფუტკრები მეკვერეა, ესა და ეს — მეშოლტეა (კახეთში მეშოთე) და ესა და ეს ქილიფთარიაო.

მეკვერე ფუტკარი, ხალხის რწმენით მეთაფლეა, ნაყარს ნაკლებად უშვებს და ფუტკარიც შედარებით თვინიერი, მშვიდია. სკებში ფიჭების განლაგება, ნაშენობა გარდვიარდმო არის ჩაწყობილი კვერებივით.

მეშოლტე, ანუ მეშოთე ფიჭების განლაგება სივრცეზე არის შოლტივით ან შოთივით გარაზმული; ასეთი ოჯახი საშუალოდ ითვლება, თაფლსაც იძლევა და ნაყარსაც.

ქილიფთარი. ქილიფთარის ნაშენობა არეულდარეულია; ზოგი ფიჭა კვერივითაა, ზოგი შოლტივით. ქილიფთარი მეთაფლე არაა, სამაგიეროდ ადრეულ და კარგ ნაყარს იძლევა“

უჩარხო სკაში ჩასახლებული ფუტკრის მიერ აშენებული ფიჭების კუთხის

სიდიდე დედამიწის მაგნიტურ ძალწირებთან გარკვეულ ცნობას იძლევა ოჯახის ნაყარობისკენ მიდრეკილებაზე (რ. შოგენი, 1954). ასევე შეიძლება ოჯახების თაფლპროდუქტიულობის დადგენაც (რ. შოგენი, 1949). უფრო პროდუქტიულები ის ოჯახები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მეტი ცილების შემცველი ფეხგუნდები მოჰქონდათ.

ყოველივე ზემოთქვამი გვიდასტურებს, რომ ერთსა და იმავე საფუტკრეო მყოფი ფუტკრის ოჯახები ერთნაირი არ არის თავისი ხასიათით და პროდუქტიულობით. ყველა მეფუტკრე ვალდებულია, კარგად დააკვირდეს საფუტკრეო მყოფი ფუტკრის ოჯახებს და მხოლოდ დადებითი ნიშან-თვისების მქონე ოჯახებიდან გაამრავლოს.

მოკლედ ჩამოვთვალოთ მეფუტკრისათვის საინტერესო ნიშან-თვისებები: თვინიერება, დედა ფუტკრის საშუალო დღელამური კვერცმდებლობა, ბარტყის კარგი აღზრდის უნარი, ახალდაბადებული ფუტკრის წონა, ხორთუმი და ფრთების სიგრძე, ზამთარგამძლეობა, ოჯახის საერთო სიძლიერე, ნაყარობისაკენ მიდრეკილება, დაავადების მიმართ გამძლეობა, ადგილობრივი დილის გამოყენების უნარი, თაფლპროდუქტიულობა, ყვავილის მტვრის შეგროვების უნარი, დედა ფუტკრის აღსაზრდელი რძის პროდუქტიულობა, დედა ფუტკრის მიერ დადებული კვერცხების საშუალო წონა და ა.შ.

ცხადია, ყველა მეფუტკრეს ვერ დაავალბებ კვერცხის წონისა და მუშა ფუტკრის ფრთის სიგრძის განსაზღვრას, მაგრამ თვინიერების, მაღალი კვერცხმდებლობის, თაფლპროდუქტიულობის განსაზღვრა ყველას შეუძლია. ამიტომ საფუტკრეო ყოველთვის უნდა შევარჩიოთ დადებითი ნიშან-თვისებების მატარებელი ფუტკრის ოჯახები და მხოლოდ მათგან ჩამოვაყალიბოთ ახალი განაყოფები.

მოვიყვან მიზანმიმართული სელექციის ორ მაგალითს: 1. ფინეთში იტალიური ფუტკრის *Apis Mellifera Ligustica*-ს შერჩევით (სელექციით) მიაღწიეს იმას, რომ ეს სამხრეთული ჯიში 6-თვიან ზამთარს უძლებს. ასევე ჰონკონგსა და იაპონიაში დედა ფუტკრის რძის პროდუქტიულებაზე სელექციით მიაღწიეს დედა ფუტკრის რძის გამოსავლიანობის ზრდას 2-3 გრ-იდან 20-30 გრამამდე. ჩვენთან თაფლპროდუქტიულობაზე სელექციით შესაძლებელია საერთო მაჩვენებლის 20-40%-ით გაზრდა, რაც, დამეთანხმებით, მცირე მატერიალური და შრომითი დანახარჯებით ხდება.



საფუტკრეო ფუტკრის ხარისხის შეცვლის მეორე გზა არის ახალი დედა ფუტკრების შექმნა გამოცდილ მეფუტკრეებთან და ამ დედეებით სუსტ ოჯახებში დედა ფუტკრის შეცვლა. შესაძლებელია, ახლად შექმნილი განაყოფიერი ფუტკრები ახალი დედა ფუტკრები და შეძენილი დედა ფუტკრის მიერ შექმნილი ოჯახები. ცხადია, ასეთი შედარება მხოლოდ შემდეგ წელს არის შესაძლებელი. ამასთან ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ შესადარებელ ოჯახებს ერთნაირი საწყისი პირობები ჰქონდეთ. როდესაც დავრწმუნდებით რომელიმე ხაზის უპირატესობაში, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ ხაზის რეკორდული ოჯახებიდან ავილოთ სანაშენე მასალა ახალი დედა ფუტკრების გამოსაყვანად.